სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 იანვარი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/05

ბსუ-ს რექტორის თანამდებობაზე ტიტე არაშიძის არჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13, 29-ე და 37-39-ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 იანვრის №06-01/10 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს საარჩევნო დებულების“, ,,ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N06-01/56 დადგენილების, ,,ბსუ-ს რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 04 დეკემბრის N06-01/107 დადგენილების (ცვლილება N06-01/114, 27.12.2024 წ. დადგენილებით), ბსუ–ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიის მიერ მომზადებული, 2025 წლის 21 იანვარს ჩატარებული ბსუ-ს რექტორის არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 21 იანვრის სხდომის ოქმის (№06-02/02, 21.01.2025) და აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 04 დეკემბრის №06-01/107 დადგენილებით გამოცხადებული და 2025 წლის 21 იანვარს **ჩატარებული ბსუ-ს რექტორის არჩევნების ფარული კენჭისყრის** შედეგების შემაჯამებელი ოქმის გათვალისწინებით, **ბსუ-ს რექტორის თანამდებობაზე არჩეული იქნეს ტიტე არაშიძე** (არჩევნებში მონაწილე აკადემიური საბჭოს 11 წევრი; მოპოვებულ ხმათა რაოდენობა - 10), **2025 წლის 22 იანვრიდან 4 წლის ვადით.**

2. ბსუ-ს რექტორის თანამდებობაზე ტიტე არაშიძის არჩევის შესახებ სამართლებრივი აქტი სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. წინამდებარე დადგენილება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდეს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ.

4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ყველა ფაკულტეტს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს და ტიტე არაშიძეს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. წინამდებარე დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**